ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6321173

ნომერი: AR1947031

თარიღი : 31.01.2023

გაცემის თარიღი : 09.02.2023

გაცნობის თარიღი : 10.02.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ჰაინრიხ კლაპროთის ქუჩა, N 31;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჭუმბურიძე პ/ნ 01030013137
- ლევან რჩეულიშვილის მე-2 ჩიხი #1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 31 ოქტომბრის №6181795 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 31 იანვარს №AR1947031 განცხადებით მომართა გიორგი ჭუმბურიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 31

ოქტომბრის №6181795 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 14 მარტის №5844736 ბრძანებით, ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ჰაინრიხ კლაპროთის ქუჩა №31-ში მდებარე №01.72.14.040.039 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2022 წლის 31 ოქტომბრის №6181795 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 31 ოქტომბრიდან 2024 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2023 წლის 18 იანვრის №6290357 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2022 წლის 14 მარტის №5844736 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან, კერძოდ საზაფხულო, ავტოსადგომის, საერთო ფართობებთან დაკავშირებით და ჩანაცვლდა ±0.00 ნიშნულის გეგმა.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2022 წლის 31 ოქტომბრის №6181795 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ შეთანხმებულ კალენდარულ გრაფიკსა და ორგანიზების პროექტში არასწორად იყო დაფიქსირებული მე-4 ეტაპი, კერძოდ „ძირითადი კარკასის მოწყობა +8.80 საპროექტო ნიშნულამდე (არამზიდი კონსტრუაციების გამოკლებით)“ ნაცვლად მითითებული უნდა იყოს „ძირითადი კარკასის მოწყობა +18.10 საპროექტო ნიშნულამდე (არამზიდი კონსტრუაციების გამოკლებით)“.
წარმოდგენილი და შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2022 წლის 17 ოქტომბრის №AR1927628 განცხადებით, სამსახურის 2022 წლის 14 მარტის №5844736 ბრძანებით შეთანხმებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მოთხოვნილ იქნა მშენებლობის ნებართვის გაცემა. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის მშენებლობის ორგანიზების პროექტი და კალენდარული გრაფიკი 24 თვეზე. თუმცა, აღნიშნულ მშენებლობის ორგანიზების პროექტსა და კალენდარული გრაფიკში მშენებლობის მე-4 ეტაპი არასწორად იყო დაფიქსირებული, კერძოდ „ძირითადი კარკასის მოწყობა +8.80 საპროექტო ნიშნულამდე (არამზიდი კონსტრუაციების გამოკლებით)“ ნაცვლად მითითებული უნდა იყოს „ძირითადი კარკასის მოწყობა +18.10 საპროექტო ნიშნულამდე (არამზიდი კონსტრუაციების გამოკლებით)“. ამასთან, მშენებლობის ორგანიზების პროექტსა და კალენდარულ გრაფიკს შორის გასწორდა შეუსაბამობა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 31 ოქტომბრის №6181795 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 31 ოქტომბრის №6181795 ბრძანებაში და ბრძანების მე-3 პუნქტის მე-4 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. ძირითადი კარკასის მოწყობა +18.10 საპროექტო ნიშნულამდე (არამზიდი კონსტრუაციების გამოკლებით).“.
2. სამსხურის 2022 წლის 31 ოქტომბრის №6181795 ბრძანებით შეთანხებული მშენებლობის ორგანიზების პროექტი და კალენდარული გრაფიკი ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული მშენებლობის ორგანიზების პროექტითა და კალენდარული გრაფიკით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 31 ოქტომბრის №6181795 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 31 ოქტომბრის №6181795 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.